გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 52

2020 წლის 08 მაისი

ქ. გორი

## ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩაზე არსებული მამარდაშვილის მემორიალის დასაწყისთან საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამართველოსთან ერთად, შეისწავლა ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩაზე არსებულ მამარდაშვილის მემორიალთან არსებული მდგომარეობა, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნულ ადგილზე ზოგიერთი მოქალაქე აყენებს ავარიულ ავტომანქანებს, მითითებული გარემოებიდან გამომდინარე საჭიროა, რომ ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩაზე მამარდაშვილის მემორიალის დასაწყისთან დაიდგას საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.27 „გაჩერება აკრძალულია".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩაზე მამარდაშვილის მემორიალის დასაწყისთან დაიდგას საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.27 „გაჩერება აკრძალულია".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, სუხიშვილის ქუჩაზე, მამარდაშვილის მემორიალის დასაწყისთან დაიდგას საგზაო ამკრძალავი ნიშანი 3.27 „გაჩერება აკრძალულია".

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე